www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს

მოსახლეობის რიცხოვნობა
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

28.04.2017

www.geostat.ge

28.04.2017

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ (ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის გარდა) 3 718,2 ათასი კაცი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 0,1 პროცენტით ნაკლებია. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის რაოდენობის შემცირებაზე გავლენა მოახდინა 2016 წლის ბუნებრივი მატების მაჩვენებელმა და გარე მიგრაციის უარყოფითმა სალდომ.

ქვეყნის მოსახლეობის 57,2 პროცენტი (2 128,6 ათასი კაცი) ცხოვრობს საქალაქო დასახლებაში, ხოლო 42,8 პროცენტი (1 589,6 ათასი კაცი) - სასოფლო დასახლებაში.

ცხრილი 1

მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონების მიხედვით

ათასი კაცი

რეგიონები	სულ	მათ შორის	
		ქალაქი	სოფელი
საქართველო	**3 718,2**	**2 128,6**	**1 589,6**
ქ. თბილისი	1 114,6	1 083,8	30,8
აფხაზეთის ა.რ[1]	…	…	…
აჭარის ა.რ	339,0	187,8	151,2
გურია	112,6	31,7	80,9
იმერეთი	529,7	257,3	272,4
კახეთი	317,5	70,9	246,6
მცხეთა-მთიანეთი	93,8	20,8	73,0
რაჭა ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	31,0	6,9	24,1
სამეგრელო-ზემო სვანეთი	328,3	128,0	200,3
სამცხე-ჯავახეთი	160,6	54,7	105,9
ქვემო ქართლი	427,4	181,4	246,0
შიდა ქართლი	263,7	105,3	158,4

წინა წელთან შედარებით მამაკაცების წილი მთელ მოსახლეობაში 0,1 პროცენტით გაიზარდა და 1 781,5 ათასი კაცი შეადგინა, ხოლო ქალების წილი 0,2 პროცენტით შემცირდა და 1 936,7 ათასი შეადგინა. საქართველოს მოსახლეობის 47,9 პროცენტი მამაკაცი, ხოლო 52,1 პროცენტი - ქალია.

[1] … მონაცემები არ არის

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა ასეთია:

ცხრილი 2

მოსახლეობის რიცხოვნობა სქესისა და ასაკის მიხედვით

ათასი კაცი

ასაკი	ორივე სქესი	მათ შორის	
		მამაკაცი	ქალი
0-4	266,6	138,1	128,5
5-9	251,1	131,4	119,7
10-14	206,4	109,4	97,0
15-19	214,5	113,5	101,0
20-24	231,3	119,3	112,0
25-29	278,3	139,9	138,4
30-34	271,8	135,7	136,1
35-39	249,7	123,5	126,2
40-44	242,3	119,2	123,1
45-49	236,7	114,5	122,2
50-54	253,9	119,6	134,3
55-59	258,0	118,3	139,7
60-64	220,2	96,7	123,5
65-69	180,8	75,3	105,5
70-74	99,7	38,9	60,8
75-79	137,5	49,6	87,9
80-84	74,5	25,9	48,6
85+	44,9	12,7	32,2
სულ	**3 718,2**	**1 781,5**	**1 936,7**

დიაგრამა 1

მოსახლეობის რიცხოვნობის განაწილება ძირითადი ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით (%)



2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ახალგაზრდა ასაკის მოსახლეობის (0-14 ასაკობრივი ჯგუფი) წილმა მთელ მოსახლეობაში 19,5 პროცენტი შეადგინა, ხოლო შრომისუნარიან ასაკში მყოფ მოსახლეობის (15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფი) წილმა - 66,1 პროცენტი. 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 14,5 პროცენტია.

0-14 წლის მამაკაცების წილი მთლიან მოსახლეობაში ჭარბობს ქალებისას, ხოლო 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში ქალები ჭარბობენ მამაკაცებს, რაც გამოწვეულია მამაკაცებთან შედარებით ქალების უფრო მაღალი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობით.

2016 წელს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაბადებისას შეადგენდა 72,7 წელს, მათ შორის მამამაკებისათვის 68,3 წელს, ხოლო ქალებისათვის - 77,2 წელს.

მიგრაცია

2016 წელს ემიგრანტების რიცხოვნობამ 98,3 ათასი კაცი შეადგინა, რაც 2015 წლის მაჩვენებელზე 2,4 პროცენტით მეტია. იმავე პერიოდში იმიგრანტების რიცხოვნობა წინა წელთან შედარებით 2,5 პროცენტით შემცირდა და 90,2 ათასი კაცი შეადგინა. შედეგად, 2016 წელს მიგრაციული სალდოს (სხვაობა იმიგრანტებისა და ემიგრანტების რიცხოვნობას შორის) უარყოფითი მაჩვენებელი -8,1 ათასი კაცის დონეზე დაფიქსირდა.

საკონტაქტო პირი: პაატა შავიშვილი, ტელ.: +995 32 236 72 10 (601); ელ-ფოსტა: shavishvili@geostat.ge